

საქართველოს სახელმწიფო საინჟინერო-ტექნიკური სკოლის

ამით აღწევს მსურველი, რომ შაბათს 16 ოქტომბერს, დილის 10 საათზე აღნიშნულ სასწავლო დარბაზში დაიწყო წინასწარი ვაჭრობა სამხედრო უწყების ძველ თვითმავალზე. შეჯირბებას შეეგის დამტკიცება უნდა მოხდეს ტენიკურ სექციისაგან. მსურველებმა უნდა შეიტანონ ვაჭრობის დაწყებამდე განცხადება და 10% გასაყიდი თვითმავლის შევასებულ ჯაჟისა საჯარო ვაჭრობის თავმჯდომარის სახელზე. ცნობების პიღება და მანქანების დათვალერება შეიძლება იმავე სასწავლო 3043 (არსენალი) 9-დან 12 სათამდის ა. წ. 12 ოქტომბრიდან. 3-2

ოფიციალური განცხადება.

განკარგულენი

სახელმწიფო ბანკის მმართველისა.

1 ოქტომბერი, 1920 წ.

დანიშნენ: ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე სუმბათაშვილი ნაწილის გამგეთ ა. წ. 20 სექტემბრიდან; ნაწილის გამგეს უფროსი თანაშემწე გრიგოლ ზაქარაიას ძე ტოგონიძე სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების ბუღალტრად და ვასილი ნიკოლოზის ძე ზირიქაშვილი იმავე განყოფილების კონტროლიორად, ორივენი ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

გზათა მინისტრისა.

2 ოქტომბერი, 1920 წ., № 105.

2 ამა ოქტომბრიდან დაბრუნდა შევბულდბიდან და შეუდგა თავის პირდაპირი მოვალეობის აღსრულებას გზათა დეპარტამენტის დირექტორი ინჟ. ბ. ა. ქიქინაძე. ჩემი ბრძანება № 2927 ამა წლის 23 ივლისიდან ამით უქმდება.

გზათა დეპარტამენტის დირექტორისა.

6 ოქტომბერი 1920 წ., № 106.

ედლევა შევბულდბა ამა წლის 15 ოქტომბრამდე გზათა დეპარტამენტის კანცელარიის უფროსს საქმის მწარმოებელს დომენტი გიორგის ძე არონიშვილს, რის შემდეგაც აღნიშნული არონიშვიძე თავისუფლდება გზათა დეპარტამენტის კანცელარიის უფროსის მწარმოებლის და გზათა უწყების რედაქტორის თანაშემწის თანამდებობიდან და სრულიად გზათა დეპარტამენტში სამსახურიდან. № 107.

1. განთავისუფლებულია, თანახმად გზათა უფროსის 5 ოქტომბრის წარმოდგენისა № 9668, სახაზინო რკინის გზების იურისკონსულტის თანამდებობიდან და სრულიად გზათა უწყებაში სამსახურიდან მიხეილ ნიკოლოზის ძე ზუბალაშვილი ამა წლის 26 სექტემბრიდან.

2. მტკიცდებიან სახაზინო რკინის გზების იურისკონსულტის თანამდებობაზე იმავე იურისკონსულტის უფროსი თანაშემწე სიმონ ყარამანის ძე ჩხეიძე და იურისკონსულტის უფროსი თანაშემწე კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძე ორივენი ამა წლის 26 სექტემბრიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

3 სექტემბერი, 1920 წ., № 311.

დანიშნულია: ვიკტორ-არხის სახელმწიფო მამულის გამგის თანაშემწეთ ლეზბადინის ხუტორში გვრასიმე იაკობის ძე ცინცაძე ა. წ. ენკენისთვის 2-ან.

4 სექტემბერი, 1920 წ., № 312.

ინიშნებიან: სატყეო განყოფილების საქმის მწარმოებელი პეტრე თელიანის ძე შირინსკი, პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ, ტყის გამგის თანაშემწეთ ლუკა ვასილის ძე ჯაფარიძე საქმის მწარმოებლად სატყეო განყოფილებაში, 1 ენკენისთვიდან 1920 წ.

7 სექტემბერი, 1920 წ., № 313.

ინიშნება: ზაქარია ათანასის ძე მჭავანაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლად.

8 სექტემბერი, 1920 წ., № 314.

დათხოვნილია: სასოფლო მეურნეობის განყოფილების მემ ნქანე თამარ ტრიფონ გურგენიძის ასული სამსახურიდან მისი თხოვნის თანახმად ამა წლის ენკენისთვის 1-დან.

დანიშნულია: ელენე მეგრელიძე იმავე განყოფილების მემანქანეთ ა. წ. ენკენისთვის 1-დან.

8 სექტემბერი 1920 წ., № 315.

დანიშნულია: ტფილისის სახელმწიფო ბო

სტანში მოანგარიშეთ ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბრეგაძე ამა წლის 3 აგვისტოდან.

13 სექტემბერი, 1920 წ., № 316.

ინიშნება: ინჟინერი ლეონტი ივანეს ძე კიზიმა ფოთის ჭობების დასაშრობ პარტიის უფროსათ ამა წლის 2 სექტემბრიდან.

14 სექტემბერი, 1920 წ., № 317.

განეგრძოს შევბულდბა: სოფლის მეურნეობის მინისტრის წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს გამგეს სპეციალისტ-ენტომოლოგს ბორის უვაროვს უჯამაგირათ ა. წ. დეკემბრის 1-მდე.

დანიშნულია: იმავე ბიუროს სპეციალისტ-ენტომოლოგის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ალექსანდრე ილინსკი ა. წ. სექტემბრის 10-დან.

№ 318.

დანიშნოს: მიწათ-მოქმედების სამინისტროს სპეციალისტი ნიკოლოზ ავლიშვილი აჯამეთის საცდელ მინდვრის გამგის თანაშემწეთ, ოზურგეთის საცდელ პლანტაციის გამგის თანაშემწე გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. პოკროვის ძე იმავე პლანტაციის, გამგეთ და საქარის მევენახეობა-მეღვინეობის სადგურის წლიური პრაქტიკანტი მარიამ დონდუა იმავე სადგურის ლაბორანტათ. ყველა ა. წ. სექტემბრის 1-დან.

№ 319.

დანიშნოს: ათანასე გოგოშიძე აჯამეთის საცდელ მინდვრის საქმის მწარმოებელ-მოანგარიშეთ და დავით გიორგიძე მიწათ-მოქმედების სამინისტროს ლაბორატორიაში წლიურ პრაქტიკანტთ ორივე ა. წ. სექტემბრის 10-დან.

10 სექტემბრს, 1920 წ., № 320.

ინიშნება: ლავრენტი მიხეილის ძე ბერიშვილი მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეს თანამდებობის აღმასრულებლად.

დათხოვნილია თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: რაქის ტყის გამგის თანაშემწე ვ. თ. ვოციროძე თანახმად მისი თხოვნისა.

16 სექტემბე, 1920 წ., № 321.

ინიშნებიან: კალისტრატე ნიკოლოზის ძე ებრაელიძე და ნიკოლოზ გიორგის ძე მანაგაძე მეორე ხარისხის ტყის გამგის თანაშემწეთ.

მიწათ-მოქმედების მინისტრის

აზ. ო. მალანია.

აბა ოფიციალური განცხადება.

მდგომარეობა შავი ზღვის გუბერნიაში.

ტფილისში ჩამოსულმა განმათავისუფლებელ კომიტეტის თავმჯდომარემ გორგონოვიჩმა შავი ზღვის გუბერნიის მდგომარეობის შესახებ შემდეგი განაცხადა:

შავი ზღვის გუბერნიის განმათავისუფლებელ კომიტეტის წევრთა და სხვა გამოჩენილ მომუშავეთა დატუსაღების შემდეგ, სოჭის ოლქის გლეხებმა გაგზავნეს ეკატერინოდარში დელეგაცია საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებთან თავის მათდამი ლოიალურ განწყობილების გამოსათქმელად და აგრეთვე დატუსაღებულთა განთავისუფლების სათხოვნად. დელეგაცია მეტად მტრულად მიიღეს, ამის შემდეგ დამოკიდებულება გლეხებსა და საბჭოთა მთავრობის შორის მეტად გამწვავდა. მიუხედავად ამისა გლეხებს აქაც ლალატზე და კონტრ-რევოლუციუზზე არ უფიქრობთ. გლეხობას არც შეეძლო ეფიქრა კონტრ-რევოლუციუზზე შექმნილ შიმშლობის გამო. ში, სოჭის ოლქის მცხოვრებთა საშინელ სიმშლის განიცდის. ამ ეამად დიდი ნაწილი სოჭის ოლქის გლეხობისა სახლდება ყუბანში, ან სტავროპოლის გუბერნიაში, ასეთი გადასახლების შესაჩერებლად საბჭოთა მთავრობამ სათანადო ზომები მიიღო. საბჭოთა მთავრობის მტრული დამოკიდებულება გლეხებთან და მათ მოქმედებასთან გრძელდებოდა. ამასთანავე განსაკუთრებული ეჭვით უყურებდენ „სტროვერებს“. როდესაც ადღერის კომისარმა დაბეჭდა „სტროვერთა“ სამლოცველო, მაშინ სტროვერები შეიარაღდნენ,

რითაც შეეძლოთ და დაეცნენ ადღერის გარნიზონს. გარნიზონი გაიქცა, მართველი პირები კი აჯანყებულებმა ჩაიგდეს ხელთ. მალე ამის შემდეგ ჩამოაგდეს შავი იმ პირობით, რომ ორივე მხარეს უნდა შეეთავისუფლებინათ დატუსაღებულნი. ბოლშევიკებმა არ შეასრულეს თავის დაპირება და რამდენიმე დატუსაღებულთან დაიკოვეს და სხვაგან გადაიყვანეს. ამ აჯანყებით უნდოდა ესარგებონა ვრანგელის აგენტს გენ. მურავიოვს, მაგრამ მისი განზრახვა დამარცხებით დასრულდა და თვით მურავიოვი დაიპირეს გლეხებმა, მაგრამ შემდეგ განთავისუფლეს ისევ პარტიის სიტყვის ქვეშ, რომ შავი ზღვის გუბერნიაში ალარ გამოჩნდებოდა. ამით ისარგებლეს ბოლშევიკებმა, დაიწყეს სხვა და სხვა პირთა დატუსაღება იმ სოფლებში, სადაც მურავიოვი სცხოვრობდა. 9 გლეხი საგანგებო განყოფილების დადგენილებით ბზიბის ნაპარებზე დახვრიტეს, ამასთანავე ბოლშევიკებმა აკრძალეს დასჯილთა სხეულების დამარხვა. სექტემბრის 21 გენ. ფოსტიკოვის მოწინავე ნაწილებიც ყუბანიდან წითლებმა განდევნეს, წითელი პოლიცია დაიკავეს. ყუბანთა დიდი რაზმი ღამით დაეცა ადღერს და დაამსხვრია მისი გარნიზონი, რომელმაც ხოსტისკენ დაიხია. სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა ადღერთან მკაცრი ბრძოლები. ბოლოს ბოლშევიკებმა დასცალეს ადღერი. ბრძოლა ხოსტა-სოჭის ახლო გრძელდებოდა, შესაძლებელია, რომ სექტემბრის 26 27 წითლებმა კიდევ დასცალეს სოჭი. მაგრამ ფოსტიკოვს არ აქვს საბუთი მოელოდეს გლეხების დახმარებას. იმ შემთხვევაში, თუ ფოსტიკოვმა შეინარჩუნა სოჭის ოლქი, უკანასკნელი ყირიმის ახალ ბაზად გადაიქცევა, მაგრამ უხადია, რომ შავი ზღვის სანაპიროებზე მცხოვრებნი გლეხები ყირიმის მთავრობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლას გასწვენ.

სომხეთში.

(საინფორმაციო განყ. ცნობა).

ინგლისის უმაღლესი კომისიის ჩამოსვლა.

ოქტომბრის 6 ს.ღამოს 7 საათზე სომხეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა ინგლისის უმაღლესი კომისარი პოლკოვნიკი სტოკსი. სტოკსი გაემგზავრა ერევანს პოლკოვნიკ ბროუნისა და თავის მდივნის ლუკერის თანხლებით. სტოკსი ერევანს ოქტომბრის 4 საღამოს 10 საათზე მივიდა. აქ მათ სადგურზე სომხეთის მთავრობის წარმომადგენლები და სომხეთის ჯარების მთავარ სარდალი დახვდნენ. სტოკსის მოსვლისას სადგურზე გამწკრივებული იყო საპატია ყარაული მუსიკით. ოქტომბრის 4 მთელი დღე პოლკოვნიკს მოლაპარაკება ჰქონდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარესთან. ოქტომბრის 5 სტოკსმა ინახულა სომხეთა პარტიარქი ენშიაძისში და იმავე დღეს ღამის 12 საათზე გაემგზავრა ყარსისაკენ, სადაც მეორე დღეს დილის 9 საათზე მოვიდა. ყარსში უმაღლეს კომისარს მოლაპარაკება ჰქონდა სამხედრო მთავრობის ადგილობრივ წარმომადგენლებთან და დაათვალიერა სიმაგრეები სარაყამის მიმართულებით. ამავე დღეს საღამოს პოლკოვნიკი სტოკსი ტფილისისაკენ გამოემგზავრა. პოლკოვნიკი სტოკსი საქართველოს მთავრობის მიერ დამოძღვრებული მოგზაურობდა.

საფრანგეთის და იტალიის წარმომადგენლები სომხეთში.

საფრანგეთის კონსულმა და საფრანგეთის უმაღლეს კომისრის მოადგილემ ამიერ კავკასიაში ნეტუმანმა საქართველოს დემუხათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სომხეთის მდგომარეობის შესახებ განაცხადა: მე დარწმუნებული ვარ, რომ სომხეთი უქველად გაიმარჯვებს ოსმალეთის ნაციონალისტებზე. სომხეთის ჯარი ღირსი ქების თავისი საოცარი დისციპლინით და სამხედრო გამბრობით. სომხეთი უნდა ელოდეს აქტიურ დახმარებას მოკავშირეთა მხრიდან, რომელთა ჯარები ინტენსიურად შეტევა აწარმოებენ ოსმალეთთან. ამ ეამად ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, როდესაც მოკავშირეებს არ ძალუძს გადმოსროლონ თავისი ჯარები და სომხეთს უშუაბავლო დახმარება აღმოუჩინონ ცოცხალ ძალებით. მოკავშირეთა ძალებს მეტი მნიშვნელობა აქვთ იმ ფრონტზე მით უმეტეს რომ იქ შედარებით უკეთეს მდგომარეობაში არის გზაზე მიმოსვლა და ჯარისთვის სურსათ საწვავების მიწოდების საქმე. მე დაკვირვებით შემოძლიან განაცხადო, რომ მოკავშირეთა სამხედრო ძალები გენ. გუროს სარდლობით მეტ სიმხნევით განმარებინ სომხეთის რესპუბლიკას და უნდათ მისი გადარჩენა. სომხეთი ღირსია დამოუკიდებელ პოლიტიკურ და

ეკონომიურ არსებობისა. იტალიის სამეფო პოლიტიკურ აგენტის მოვალეობის აღმასრულებელმა ფრანკონიმაც რწმენა გამოთქვა, რომ მოკავშირეთი შესძლებენ აიძულონ ოსმალეთის ნაციონალისტები გაუწიონ ანგარიში საზავო კონფერენციის დადგენილებას, სომხეთს მოკავშირეთი დიდი სიმატით უყურებდა ამიტომ მოკავშირეთი ყოველგვარ ზომებს მიიღებენ უზრუნველყონ სომხეთი პოლიტიკური და ეკონომიური მხრით. მოკავშირეთი გამოხატავენ საშუალებას და აიძულებენ ქემალისტებს პარტიისცენ სომხეთის დამოუკიდებლობას.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

ამერიკის ვალის გადახდა.

„ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით საფრანგეთმა გემ „ლაფაიტით“ 10 1/2 მილ. დოლარი გაუგზავნა ამერიკის ვალის გასასტუმრებლად. ამერიკული ვაზეთები აღნიშნავენ, რომ საფრანგეთმა 3 მილიარდიანი დეფიციტი ძალიან შეამკირაო. უკანასკნელ 6 თვის განმავლობაში საფრანგეთის ექსპორტი 200% გაიზარდაო.

ქემალის წინააღმდეგ.

ვაზეთი „პროვა“ ეხება ოსმალეთის პრესის მიერ აღძრულ საკითხს საბერძნეთ ოსმალეთის კავშირის შესახებ. ვაზეთი წერს: საბერძნეთის ხალხის სურვილია ოსმალეთთან დაახლოვება, მაგრამ საჭიროა ოსმალეთმა თავისი გულწრფელობა საქმით დაამტკიცოს ამ მიზნით ოსმალეთის მთავრობამ ქემალის წინააღმდეგ აქტიურად უნდა გამოვიდეს. ანატოლიის დატყობის თვით საბერძნეთი იკისრებს. მხოლოდ ამ გვარ ურთიერთობაში შეიძლება საბერძნეთ-ოსმალეთის კავშირი.

ლიტვის პარლამენტის დადგენილება მიწების შესახებ.

ლიტვის პარლამენტმა მიიღო კანონი რომლის ძალით მემამულეთ 70 დღეს მეტო თუქვეთ გაყიდვის ან იჯარითაცემის უფლება ერთმევათ. გაყიდვის ნებართვას იმ შემთხვევაში მისცემენ თუ მამულის გაყიდვად აღებული ფულს სასოფლო მეურნეობის დაუმჯობესებას მოახმარებენ და ან თუ უმაღლეს გლეხებს მიყიდიან.

საქონლის გადაცვლის ხელშეკრულება.

გერმანიის მთავრობამ ლიტვის მთავრობასთან საქონლის გადაცვლის შესახებ ხელშეკრულება დასდვა. გერმანია აძლევს ლიტვას 5000 ტონ ქვანახშირს, ხე-ტყისა და თესლეულობის საფასურად.

ტფი რუხეთში.

შოლონეთის პრესა რუსეთში ტფის გავრცელების შესახებ იუწყება. 1918 წ. ტფით ავად გახდა 105000 კაცი. 1919 წელს 2100000 და 1920 წლის პირველ ნახევარი კი 4000000.

გენ. გოლოვიცინ-ჩერჩილი.

„ფორვერტი“ აქვეყნებს გენერალ გოლოვიცინის წერილს საზონოვისადმი. გოლოვიცინი ჩერჩილს ანახსიათებს ისეთ პიროვნებათ, რომელსაც სურს ბოლშევიკების საწინააღმდეგო ძალებს აქტიური დახმარება გაუწიოს. ჩერჩილმა წინადადება მისცა ინგლისის პარლამენტს 10000 ჯარის შედგენის შესახებ ანტიბოლშევიკურ ძალებს დასამარცხებლად.

ანტანტის ვალი.

ბრიუსელის ფინანსიურ კონფერენციის შემდეგ გამოიკვია რამდენი ვალი ჰქონა ანტანტს. საფრანგეთმა ომის დროს თავის მოკავშირეთ ასესხა 7.575 მილ. ფრანკი. ამასთავე ერთად საფრანგეთმა ასესხა ამერიკიდან 2.985 მილ. დოლარი, ინგლისიდან 514 მილ. სტერლინგი. ამგვარად საფრანგეთის ვალი უდრის 60 მილიარდ ფრანკს. ინგლისის მართებს ამერიკის 1,060 მილ. გირვანჯა და ამავე დროს ასესხა სხვა სახელმწიფოებს 1.715 მილ. გირვანჯა. ამერიკამ თავის მოკავშირეებს ასესხა სულ 9.500 მილიონი დოლარი.

მემორანდუმი რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკისადმი.

„ორიენტალიზში“ დაბეჭდილია პარიზელ კორესპონდენტის დეპეშა, რომელიც იუწყება: საფრანგეთის დეპუტატთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიამ ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ რესპუბლიკებს მიმართა მემორანდუმით აღნიშნონ თავიანთი შეხედულებანი და დამოკიდებულებანი ბოლშევიკებთან. ამ სახელმწიფოთა მთავრობებს მიმართეს გამოსთქვენ თავიანთი აზრი რუსეთის მომავალ ორგანიზაციაზე.

(საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო უწყისი)

ზავის შეკვრა.

რიგში პოლონეთის და რუსეთის დღევანდელი დროებითი ზავი შეკრეს. სამხედრო მოქმედება შეჩერდა არა უგვიანეს პარასკევს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლეონ პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელს ვილი ბერლინში მყოფი საფრანგეთის ელჩი ზამდი ლომანი, რომელიც აუწყა მას გეგმის საფარო მინისტრთან დოქტორ სიმონსთან წარმოებული მოლაპარაკების მსვლელობის საქმეს.

ტაკე იანესკუს განცხადება.

რუმინიის საგარეო საქმ. მინისტრმა, რომელიც ამ ეტაპზე პარიზში იმყოფება მცირე ანტიანტანტის შესახებ „პარიზის“ კორესპონდენტს შემდეგი განუცხადა: გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, სთქვა იანესკუს, რომ მიუხედავად ზოგიერთ დაბრკოლებისა, სულ ახლო მომავალში მთელი ევროპის საკეთილდღეობით მცირე ანტიანტანტის შეიქმნება. ის უთანხმოებანი, რომელიც პოლონეთსა და ჩეხოსლოვაკიის შორის არსებობდა, მოსპო საფრანგეთის ჩარევამ. ხუთმა ქვეყანამ, რომლებიც უფრო ახლო უნდა დაუკავშირდნენ საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას, უნდა შექმნას მშვიდობიანობის საფუძველი, ვინაიდან უნდა აღნიშნოს, რომ მცირე ანტიანტანტის მხოლოდ ერთ-ერთი მიზანი აქვს—მხარი დაუჭიროს პარიზის ხელშეკრულებას. მცირე ანტიანტანტის შემთხვევაში სულ პატარა სახელმწიფოს შეიცავს ხელს შეუწყობს დედ სახელმწიფოებს საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას.

დუნაის კონფერენცია.

საერთაშორისო დუნაის კონფერენციის სხდომა შესდგა ოქტომბრის 6-ს. შეიმუშავეს სხვა და სხვა მუხლები დუნაის ნავსადგომის შესახებ. შემდეგი სხდომა ოქტომბრის 18 შესდგება.

გერმანელთა შეთქმულება დანკივში.

დანიის ნავსადგომის მუშებმა იმ სამხედრო მასალის გადმოტვირთვაზე, რომელიც პოლონეთისათვის იყო გამოცხადებული, უარი განაცხადეს. მათ აშკარა ვახდა რომ ნავსადგომის მუშებმა ბოლშევიზმი მიიჩნიებოდა და რომ გაფიცვა მოწყობილი იყო პანკერმა-ნელებს მიერ, რომლებიც პრუსიის ლიდერებთან შეთანხმებით მუშაობდნენ. მათი გეგმის დასაფუძვლად საჭირო შეიქმნა დანიის მოკავშირეთა ესკადრის შემოყვანა და საფრანგეთის ენერგიული მოქმედება. დანიის ნავსადგომის მუშებში წესიერება სწრაფად აღდგინეს, მაგრამ პანკერმა-ნელებმა ელემენტები არ შესწყვიტეს თავისი მოქმედება და თავისუფალ ქალაქის მავიჯრად, რომელიც აძლევს საშუალებას პოლონეთს გავიდეს ზღვაზე, მათ სურდათ შეექმნათ ქალაქი, რომელზედაც პოლონეთს არ უნდა ქონოდა არავითარი უფლება, და რომელიც პირიქით დააშორებდა მას ზღვაზე. მაგრამ ასეთ განზრახვას წინ აღუდგა მოკავშირეთა მტკიცე გადწყვეტილება, მოყვანათ სისრულეში. (დამაზინჯებელი).

საერთაშორისო კრედიტი.

საფრანგეთის პრესამ გამოაქვეყნა ტექსტი რეზოლუციისა, რომელიც საერთაშორისო კრედიტის კომისიის მიერ იქნა მიღებული. კომისიის იძულებული იყო აღიარებოდა, რომ ერთი და იგივე სისტემა სხვა და სხვა სახელმწიფოს მიუღებელია და რომ საჭიროა ისეთ ზომების გამოხატვა, რომელთა გამოყენებაც სხვა და სხვა შემთხვევებისთვის შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომ საჭირო იყო შექმნა საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციისა, რომელიც უნდა იხელმძღვანელოს იმ სახელმწიფოებში, რომელთაც კრედიტი ეჭირებოდა. ეს სახელმწიფოები გამოიხატავენ იმ გარანტიებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი მხრით კრედიტებს. პირობების შესახებ ისინი შეუთანხმდებიან საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციას.

განხილეს აგრეთვე საკითხი ექსპორტისათვის საჭირო კრედიტის უზრუნველყოფისა. კომისიამ საჭიროდ დაინახა, რომ ეს საკითხი ექსპორტის მონაწილეობით უნდა იქნეს განხილული.

საფრთხე რუსეთში.

უკანასკნელი ღრუბელი.

„იხვესტიებში“ სტეკლოვი სწერს: წინასწარი შეთანხმება, რომელიც მოხდა რიგში რუსეთ-უკრაინის და პოლონეთის დელეგატების თავმჯდომარეების შორის, იმდენ იძლევა, რომ ახლო მომავალში ორ სახელმწიფოს შორის ზავი ჩამოყარდება. უკუგდო რა ინ-

ტერესები საერთაშორისო კონტრეგოლიუციის პოლონეთმა გაიხსენა საკუთარი წინდა, ეროვნული ინტერესები. საფრანგეთის დიპლომატიისათვის ეს დიდი დამარცხებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვეღარ დაიკავენ თავის ვრანგელს, რომელიც ახლა მხოლოდ ერთად ერთ აგენტსა და საფრანგეთის შავი იმპერიალისტებისა, როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპაში. ვრანგელი ახლა ერთად ერთი შავი ღრუბელია. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზია ასე ადვილად არ გასცემს მას. უნდა ვთქვათ, რომ იმპერიალისტურ საფრანგეთს, კიდევ დიდი-ზარალის მატანა შეუძლია. თუ საფრანგეთი ჩვენსა და პოლონეთს შორის იმის დროს მალულად მუშაობდა (დამაზინჯებელი) მიიღებს ზომებს, რომ უნგრეთი და რუმინია დიქტაროს ვრანგელს. მაგრამ ამ ორ სახელმწიფოს ერთად გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ შეუძლებელია, ვინაიდან მათ შორის ინტერესთა წინააღმდეგობა არსებობს. ისედაც პოლონეთთან ზავის შემდეგ საფრანგეთის დიპლომატიის სიმძიმე რუმინიაში ძლიერ დაეცა. უკიდურეს შემთხვევაში საფრანგეთს თავისი საკუთარი ძალებით შეუძლია ჩვენ წინააღმდეგ გამოსვლა. საფრანგეთის ავანტიურისტები მიიღებენ მეთაურობით, ძლიერ შორს წაივდენ, და მათ არ შეუძლიან ასე იოლად დაიხიონ უკან, მაგრამ შესაძლებელ გამოსვლაში ჩვენ წინააღმდეგ საფრანგეთს არ დაუქრის მხარს თავისი პოლიტიკა. ამას ამტკიცებს თუ გინდათ რეზოლუცია რუსეთის საკითხის შესახებ, რომელიც საფრანგეთის პროფ. კავშირების ყრილობამ მიიღო, და რომელმაც დაგმო საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკა როგორც საფრანგეთის მსოფლიო რეაქციისა. რაც შეეხება საფრანგეთის გლეხებს, მას უკვე მოუბრდა ომი გერმანიასთან, და ახალ ომში მისი ჩართვა არც ისე ადვილი იქნება. საფრანგეთის ბურჟუაზიის თავის ავანტიურაში არ შეუძლია ჰქონდეს იმედი აგრეთვე არც ანტიანტანტის დახმარებისა. იტალიაზეც ლაპარაკიც არ შეიძლება, ინგლისიც კი არ არის მომხრე მხარი დაუჭიროს საფრანგეთის ავანტიურას. მის შემდეგ რაც ანტიანტანტის შემსწავლელის იმპერიალისტების დახმარება, მეტი გამწვავებით იქნეს, თავს ძველი წინააღმდეგობანი საფრანგეთის და ინგლისის ბურჟუაზიის ინტერესებს შორის. ახლო წარსულში საფრანგულმა ბელგასთან სამხედრო კონფერენცია შეკრა, და ამის გამო ინგლისის დიპლომატიკა უკვე ხმა მალა აცხადებს თავის უკმაყოფილებას. ინგლისელებს არ მოსწონთ აგრეთვე საფრანგეთის პოლიტიკა გერმანიის მიმართ. ინგლისელები სრულიად არ არიან დაინტერესებულნი გააძლიერონ საფრანგეთის იმპერიალიზმი (დამაზინჯებელი) მატერიალზე საბოლოოდ მოახლოს გერმანიას. აგრეთვე ინგლისელებს არ სურთ დაუჭირონ მხარი საფრანგეთის ავანტიურისტულ პოლიტიკას პოლონეთში, ზემო სილიზიაში და სამხრეთ რუსეთში. ასეთი უთანხმოება მოკავშირეთა შორის უკვე არ შეიძლება საიდუმლოდებინა და მას აშკარად იხილავენ ორივე სახელმწიფოს პრესაში. თუ შევიხედოთ მხედველობაში ასეთ გარემოებას, ჩვენ შეგვიძლია დამშვიდებით უფროთ უკანასკნელ ღრუბელს, რომელიც საბჭოთა რუსეთის ცახე არსებობს. მუშათა და გლეხთა რუსეთი უფრო მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლა და იგი უკვე უკლებლად გაუმკლავდება ამ ახალ საშიშროებას.

დაპოკიდებულება პოლონეთთან.

როგორც სწინს პოლონეთის მთავრობამ გადაწყვიტა ჩამოაგდოს ზავი რუსეთთან და უკრაინასთან. პოლონეთის მთავრობა არ სთვლის სასარგებლოდ განავრცობს ომი მუშათა და გლეხთა რუსეთში. მაგრამ ზავი კიდევ არ არის მიღებული. საფრანგეთის შემამულები და კაპიტალისტები ახალ დაბრკოლებას ქმნიან. დასასრულ კიდევ არ არის დამარცხებული ბარონი, ჩვენი დაუძინებელი მტერი. ბარონის ჯარები კიდევ დონის ხეობისაკენ ისწრაფვიან. მათ სურთ წაართვან საბჭოთა რუსეთს ნახშირი და გადასცენ იგი ანტიანტანტის კაპიტალისტებს. საშიშროების ქვეშ არის აგრეთვე დაპოკიდებულება ჩრდილო კავკასიასთან—საბჭოთა რუსეთის ბედელთან. ამიტომ ვრანგელი ზამთრის დამდეგამდე უნდა გავანადგუროთ. მუშათა ჩვენი ფრონტების გასამაგრებლად უნდა გავრძელებდეს, უნდა ავწიოთ ფაბრიკების და ქარხნების ნაყოფიერება. უნდა გავაგრძელოთ მუშათა ტრანსპორტის შესაქმნელად, უკიდურესი ენერჯია უნდა მივიტანოთ სასურსათო ფრონტზე.

საიდუმლო წინადადება.

ბარონ ვრანგელმა მიიღო ჩრდილოეთ შერებულ შტატებიდან რალაც საიდუმლო

წინადადება, რომელსაც ამერიკის მიერ ვრანგელის მთავრობის შესაძლებელ აღიარებასთან უნდა ქონდეს კავშირი.

პროლეტარ კლტის პირველი სრულიად რუსეთის ყრილობა.

პროლეტარულ კლტის ყრილობის იდეამ ნახა გამოხატულება დასავლეთ ევროპის პროლეტარიატში. ამ ეტაპზე პროლეტარიატის საერთაშორისო ბიურო შეიქმნა. საღამოს ყრილობაზე მოსმინეს ბოგდანოვის მოხსენება პროლეტარულ შემოქმედების შესახებ. ბოგდანოვის ტეხისი ყრილობამ სახელმძღვანელოდ მიიღო.

მთიელთა რესპუბლიკის აგრონომია.

ოქტ. 1. იუწყებიან, რომ ლენინმა ხელი მოაწერა მაგრამ არ გამოქვეყნებულა მთიელთა რესპუბლიკისთვის აგრონომიის მინიქციის დეკრეტს. რესპუბლიკა რუსეთთან ფედერაციულ კავშირში იქნება.

ახალი აზიები.

ნავთის დარიგების პროექტი. ფინანსთა სამინისტრო შეუდგა სახელმწიფოს მიერ მცხოვრებლებზე ნავთის დარიგების პროექტის შემუშავებას. ნავთი მცხოვრებლებს ერთი წლით შემუშავებულ გეგმის მიხედვით დაურიგდებათ. ამ გეგმაში ადგილობრივი პირობების მიხედვით ყოველთვიურად შეიტანებენ შესწორებას. ამ გვარად აცლებულ იქნება უწყსრიგობა ნავთის მარაგებისა და განაწილების საქმეში. სახელმწიფო უმთავრეს ყურადღებას მიაქცევს ნავთის პროდუქტის ღირებულებას, ვინაიდან ის სანამ მიიღებდეს ასეთს, მას კარგად შეამოწმებს. ნავთის ნაკლოვანების გამო მოვატრები მას საშინლად აძვირებდნენ. ამასთანავე კერძო მოვატრები, სოფელს სრულდებით იფუყებდნენ. სახელმწიფო კი ყველა მცხოვრებლებს იაფ ნავთით უზრუნველ ყოფს. ნავთი კოოპერატივების, ერობების და ქალაქების თვითმმართველობების საშუალებით დაურიგდება.

დამფუძნებელი კრებაში. დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს შემდეგი დეპუტა მოუვიდა: ჩხარის რაიონის გვარდიის ყრილობა გიგზავით წიფელ სალაშს. გვარდია ყოველთვის მზათაა შესწიროს თავი საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას და საერთაშორისო პროლეტარიატის იდეალებს. გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ინტერნაციონალს.

ენიკოპის მარიონეტის გამგზავრება. პაპის წარმომადგენელი საქართველოში ეპისკოპოსი გაბრიელ მარიონედი ორი კვირით ემპრიის დასათვალისწინებლად ახალციხეში გაემგზავრა.

მთლების დრო. გზათა ქუჩების დეპარტამენტის დირექტორი გვთხოვს გამოავცხადოთ, რომ მას მიღება აქვს ორზამათობით, ოთხზამათობით და პარასკეობით დილის 9 საათიდან 10 1/2 საათამდე.

ტენიკურ კომიტეტი. კოხლოვსკის თავმჯდომარეობით ტენიკურ კომიტეტის სატენიკო და ქიმიურ განყოფილებას სხდომა ქონდა. განყოფილებამ განიხილა შემდეგი საკითხები: 1) პრივილეგიის მიცემა ქიმიურ წმინდა მუგა-ბადის დამუშავებაზე, 2) სამარხო ზეთიდან საპნის გაკეთებაზე, 3) პრეს პაპიებზე (გამარჯვება), 4) იმ ქურჭლის გაკეთებაზე, რომელიც არ ტყდება; სახელდობრ „კოკა“-დან, რომელიც არ იწვის და არ ეანგდება და სხვა. გადაწყვეტილია ბორჯომში გაგზავნონ პროფ. დიდებულნი მუგაბადი. დამუშავებული აპარატის დასათვალისწინებლად, ექსპერტიზა დანიშნულა დანარჩენ საქმეების გამოსარკვევად.

ხორბლეულობა ფოთში მოვიდა გემი „გოზროკლენი“, რომელმაც მომარაგების სამინისტროსთვის გადასაცემად მოიტანა 13.000 უფთი მცერი. ამავე გემმა მოიტანა რესპუბლიკის მცხოვრებთა საჭიროებისათვის 80.000 ფ. ხორბალი.

ლტოლვილები ხომხეთიდან. სომხების ეროვნულ საბჭოს ახალქალაქიდან დეპუტატი იუწყებენ, რომ არტანის რაიონიდან იქ ჩამოვიდა 800 ლტოლვილი, რომლებიც ორი დღით გაჩერდნენ ახალქალაქში. საჭიროა მატერიალური დახმარება და სასწრაფო განკარგულება საღ გაიგზავნონ ლტოლვილები.

საყმაწვილო წიგნები. იყიდება საკუთარი მალაზიაში (რუსთაველის პროსპ. № 9, სასტუმრო „ორიანტი“ ქვეშ) წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შემდეგი საყმაწვილო წიგნები: 1. ქაჯანა-ლომაშვილის მოთხრობა, 2. ალი-მისივე, 3. ვაჟა-ფშაველას საყმაწვილო მოთხრობები, 4. შ. მღვიმელის ლექსები 1 წ., 5. დუტუ მგერელის საყმაწვი-

მოთხრობები, 6. მწყემსის წერილები ი. მკვლევლის. იბეჭდება: შ. მღვიმელის ლექსები 2, 3 და 4 წ. მისივე სამი ელქი, ცვარი, ოქროს თაფლავი, ძენწი და სხვა.

საქართველოს დამფ. კრების წევრის ე. ბერნშტეინი „ტიამის“ ცნობით გერმანიის განკლებამ მიიღო.

გზათა დეპარტამენტში

გზათა უწყების დეპარტამენტმა აუცილებელ საჭიროებათ აღიარა საჩხერის ხე-ტყის სახერხი ქარხნის საქმეთა გაფართოება. გადაწყვიტა ამ მიზნით გაყვანილ იქმნას წერილ ლიანდავიანი რკინის გზა და გზის გასაყვანი მუშაობა დაევალოს ახლად შემდგარ მუშათა არტელს. ამასთანავე გააფართოვებენ რაიონის გზის საჭიროებისათვის შალის დამზადების საქმეს. საჩხერის აგარაკის 3 ადგილში მოსალოდნელია 260000 ცალი შალის დამზადება. მოკრილ მუხის ხეების გამოტანის დასაჩქარებლად გადაწყდა გაყვანილ იქმნას რკინის გზის მეორე ლიანდაგი, რომელიც საჭიროლის გადმოტანას დოგადონს ხაზთა გააძლიერებს. ამ რაიონიდან შეიძლება გამოტანილ იქნას 730000 შალი. ფიქრობენ რომ თვის ბოლოს უკვე გაკეთებული იქნება რაიონის გზის ლიანდაგი საჩხერიდან ხე-ტყის სახერხ ქარხნამდე 3 ვერსის მანძილზე. მიწის მოყრა და ხიდები უკვე მოთავებულია. მუშები უკვე ხიდების აგებას იწყებენ.

მუშათა ცხოვრება

წისკილებზე მომუშავეთა მდგომარეობის გამოკვლევა.

„პროლეტარსტიკის“ მუშათა კავშირმა მოახდინა ტფილისის წისკილებზე მომუშავეთა მუშების მდგომარეობის გამოკვლევა. დაათვალიერეს 9 წყლით მომუშავე და ერთი ორთქლით მომუშავე წისკილი. გამოიკვრა, რომ წისკილებზე მომუშავე მუშები სამჯერ ეცვლებიან ერთმანეთს. თითო რიგი 8 საათს მუშაობს. უქმე დღეებში მუშები იღებენ იმავე ხელფასს რასაც საქმინი დღეებში. ზოგიერთ წისკილებზე მუშებს ხანდახან ფულის მაგივრად ფქვილს აძლევენ, მაგრამ ფქვილის მიცემას რეგულიარული ხასიათი არ აქვს. კავშირის გამგეობამ დაადგინა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა წისკილებში დაცულ იქნას შრომის დამცველი ყველა პირობები.

„პროლეტარსტიკის“ მუშების კავშირი.

„პროლეტარსტიკის“ მუშების კავშირის გამგეობამ დაადგინა: გაგზავნოს ორი წარმომადგენელი საქართველოს პროფ. კავშირთან ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის და სეკრეტარიატის სხდომაზე, რომელიც მუშათა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხს განიხილავს. კავშირის გამგეობამ თავის წარმომადგენლებს მიანდო აღძრას საკითხი მუშათა მაგიდის მიერ მუშებისათვის ხორცის იმავე საფუძველთ მიწოდების შესახებ, რა საფუძველზედაც მათ პური ქძლევათ. ამას გარდა გამგეობამ დაადგინა იშუამდგომლოს მუშებისათვის შუშის, ქართოფილის და სხვა პირველ საჭიროების საგნების მიწოდების შესახებ.

ხელმოწერა.

სახელმწიფო თეატრი.

სახელმწიფო თეატრის გამგეობამ შეიმუშავა ანგარიში თავის მოქმედების შესახებ. ანგარიში იუწყებიან, წრომ გასულ სეზონში თეატრში ყოფილა 305,490 კაცი. ამ რიცხვში 50.105 კაცი დასწრებია მოსკოვის სამხატვრო თეატრის წარმოდგენებს, 35.735 კაცი მუშათა წარმოდგენებს და 12.000 გვარდიელი და ჯარისკაცი, რომლებსაც განსაკუთრებული დღეები ქონდათ. მუშათა წარმოდგენებზე ფასები იყო: პარტერის პირველი რიგი 10 მან. და სხვ. ჯარის კაცთა და გვარდიელთა წარმოდგენები უფასო იყო. მუშების და ჯარისკაცის გამოათულება სპეციალურა 700.000 მან. ხარალი მისცა.

ფოსტა-ტელეგრაფები

სია ჩაუბარებელ დეპუტებისა

სუბუმიდან—ადამიას; ახალციხიდან—წერეთელს; ქუთაისიდან—ვეიქონს; ჩოხატაურიდან—გიმნაზიის დირექტორს; გორიდან—ყაფრაძეს; ქობულეთიდან—კოშალაძეს; ოხუტეთიდან—ლლონტს; მათუმიდან—პოდგორაკის.

ისტორიული წერილები

შამილის საიდუმლოება და ა. გ. ბელიანი.

(გაგრძელება)

ქართველთა გამგებლებმა ეს წერილი ყარაბინი და ლეკური წარუდგინეს იმ დროის რუმის მთავარ სარდალს გენერალს, რომელიც იქვე მდებარე ჯარში იმყოფებოდა თურმე. ამ გენერალმა ყველა ეს წიგნები და წერილი ტფილისში ჩამოიტანა და მაშინდელ მთავარმარტოებელს ვორონცოვს გადასცა.

ვორონცოვმა გაიგო წერილის შინაარსი და ამ დღიდან სტუმრით აღარ ყოფილა თეკლე ბატონიშვილთან, აღარც ორბელიანს ინახულებდა ხოლმე.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ერთ დღეს, ორბელიანს სახლში ეწვია ვორონცოვის ადიუტანტი და გადასცა მას შამილისაგან გამოგზავნილი წერილი და წიგნები და უთხრა:

ეს წიგნები და წერილი თქვენ გამოგიგზავნათ მთავარ მარტოებელმა ვორონცოვმა, რაც თქვენთვის გამოუგზავნია შამილს.

ამ გაგრძობებში ორბელიანი დიდად განაცვიფრა და მისთან შეშინდა კიდევ. გაახსენდა 1832 წ. დაბატონება, რუსეთში გადასახლება და ამგვარათ ეს მუდამ დღევალად ვორონცოვის განკარგულებით სასჯელს, მაგრამ დღემდე მიფრინავდნენ და მისი დაბატონება კი არ ხდებოდა. ვორონცოვი დიდად მოხერხებული პოლიტიკანი ვახლდათ, ამან თურმე ეს გაგრძობა უყურადღებოდ დასტოვა, ვინაიდან შამილის წერილში ისეთი ცნობა არ იყო, რომ აქედამ კაცს რამე დასკვნა გამოეტანა ორბელიანის ღალატის შესახებ.

გავიდა რამდენიმე ხანი და ერთ დღეს მთავარმარტოებელმა თავის სახლში ნადიმი გამართა და ამ ნადიმში მოიწვია თეკლე ბატონიშვილი და ორბელიანიც. ორბელიანს ამ გაგრძობებში გული დაუშვია, მაგრამ თან დიდად სწყინდა და ერიდებოდა ვორონცოვს. ის ფიქრობდა თურმე: წავიდე, დიდად მერიდებდა და მრცხენია ვი თუ ვორონცოვმა მოიგონოს ის საქმეები და მეც გამახსენოს, მაშინ რაღა ვქნა, რა პასუხი გავსცე. არ წავიდე და ვი თუ ეწყინოს და ამან უფრო ცუდი შედეგი გამოიღოს და მავნოსო. ბევრი თათბირის და ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა წასვლა და თუ ვორონცოვი წერილს მოიგონებდა, ფიცით თავის მართლებას აპირებდა. ჩაიცო ეროვნული ტანსაცმელი მოირთო ორდენებით, იარაღით და დანიშნულს დროს წავიდა კიდევ.

დროით მოვიდა სასახლეში და როცა კიბეზე აღიარა, ამ დროს მისი კაბის ერთი სახელი თურმე ერთ ლიმონის ხეს ისე გადაება და ვადიგობა, რომ ლიმონის ხის ბრწყინვალე წაიქცა და ჩავორდა კიბეზედ. ამ გაგრძობებში თურმე ორბელიანზე ისე დიდად იმოქმედა, რომ შეკრთა და უკანვე გამობრუნდა მაშინვე. ეს ამბავი თურმე იქ მყოფთა ვორონცოვსაც მოახსენეს და აუწყეს ისიც, რომ ამ ლიმონის ხის წაქცევამ ისე შეაწუხა ორბელიანი, რომ მან სიცხვილეულმა ვედარ გაბრუნდა შემოსვლა და უკან გაბრუნდა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ჯ ა ნ ი

დაიკარგა პასპორტი № 18635 იოსებ გიორგის ძე დოკმაჯიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3007 3-2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ნინო ავეტის ასული კორდანიძის სახელზე დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროსის ნოტარიუსისაგან 1906 წელს რეესტრით № 559 და სასულიერო ანდერძიგორგი ალექსანდრეს ძე კორდანიძის სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მიტკევიძისაგან და დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს მიერ 1915 წ. 18 მაის № 18402. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3011 3-3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი რებეკა ბარუბ-ბენციას ასული პოგრებიცკიას სახელზე, შედგენილი ტფ. ნოტარიუსი მაქავაჩიანის მიერ 1917 წ. რეესტრით № 5754. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3013 3-3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 4631 მიღებული 26 ნოემბერს 1915 წ. ტფ. პოლიციის სამმართველოდან ალექსანდრე ვენედიქტის ძე ტიხონოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3022 3-2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, მოწმობა, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან და სტუდენტების კოოპერატივის წიგნაკი—ივანე ისიდორეს ძე ნიქუბაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2997 3-3

სახელდრო სასამართლო, თანახმად 1920 წ. 27 სექტემბრის გამწესრებულ სხდომის დადგენილებისა, ეძებს დრაგუნ მე-2 ცხენოსან პოლკის სიღნაღის მხარის სოფ. მალაროს მცხოვრებ 25 წ. სტეფანე ისაკის ძე ბაიდაშვილს, რომელიც მიცემულია სამართალში თანახმად დეკრეტისა დადგენილებულ კრებისა 27 ივნის 1919 წ. პ. 2. ლიტ. ა. 260 მუხ. XXIV წ. ს. დ. კ. გამ. 4 და ბრძ. ს. დ. 1917 წ. № 336.

ყველა, ვინც იცის სად იმყოფება აღნიშნული ბაიდაშვილი ვალებულია განუცხადოს სამხედრო სასამართლოს, რომელიც მოთავსებულია სასამართლოს ქუჩაზე № 32. 922 3-3

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში აღფრედ კარლის ძე შეშუბა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ცოლი ალექსანდრა ნიკოლოზ ტიმოფეის ასული რომელმაც უვადო დაიკარგა 1904 წ. 24 ოქტომბერს, უკვლად დაიკარგა 1917 წლიდან, რის ვაგინი თხოულობს მისგან განქორწინებას ყველა ვინც იცის დაიკარგულ ალექსანდრა შეშუბის მისამართი, ვალებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით, განუცხადოს სამიტროპოლიტო სასამართლოს შემოსხენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 3012 3-2

სახალხო გვარდიის მე 2 სამთო ბატარეის უფროსის მიერ დაკარგულია სახაზინო ბეჭედი მე 2 სამთო ბატარეის სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადა. ჩაითვალოს გაუქმებულად. 924 3-3

დაიკარგა ერთი რუსული ვინტოვკის და ერთი თათრული ვინტოვკის ნებართვები შაქარ პეპანაშვილის სახელზე, მიღებული შინაგან საქმეთა სამინისტროდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3003 3-3

დაიკარგა კვიტანცია № 457 მიღებული სამხედრო სამინისტროს ფენსაცნელების სახელსიგლიდან 1920 წ. აგვისტოს 2 ს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2952 3-3

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა, იარაღის მოწმობა და პასპორტი ლეხანდრო ონოლის საზოგადოების მილიციონერ ანტონ გაბუნიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3-3 (უფ.)

დაიკარგა პასპორტი № 3080, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან და მეტრიკა ეუშუაქ შალამის ძე ტეცოვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3001 3-2

დაიკარგა პასპორტი № 285 ელენა სტეფანეს ასული იარაღიანის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3014 3-2

დაიკარგა რუსეთის სატრანსპორტო და დამზღვევ საზოგადოების კვიტანცია № 76592 ი. ა. ლესტოვიჩის სახელზე ორი ნივთის მიბარების შესახებ 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3010 3-2

დაიკარგა უვადო პასპორტი იასონ გლაბუას ძე კახიანის სახელზე. მიცემული ქუთაისის სამხედრო სამმართველოდან. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3057 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი ბიეტორ იესეს ძე კახიანის სახელზე მიცემული ბათუმის ქალაქის მილიციის სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3057 3-1

დაიკარგა უვადო პასპორტი ბარნაბა ნუსტორის ძე ბაქრაძის სახელზე მიცემული ქუთაისის სამხედრო სამმართველოდან, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3057 3-1

დაიკარგა მოწმობა პეტრე ივანეს ძე ნოსკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან 1920 წ. ივნისის 1-ს გაუქმებულად ჩაითვალოს. 3055 3-1

დაიკარგა ტფილისის პირველი კერძო ლომბარდის ბარათი № 85061-180 მანეთის. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2994 3-3

ჩოხატაურის II უბნის სასამართლოს მოქალაქე ა. სანიკიძე, თანახმად 1030 მუხლ. სამ. წესდ. ამით აცხადებს, რომ 15 ოქტომბერს 1920 წ. დილის 10 საათზე იგი მოხდენს საჯარო ვაჭრობას პლატონ ლევანის ძე მეფარიშვილის მოძრავი ქონებისას, რომელიც შეიცავს: 1, ერთ ცაცხვის ხის საწინახელს, სიგრძით ოთხ არშინ ნახევარი, ჩამავალი ოცი გოდორი ყურძნისა, დაფასებულის 2600 მან. 2, ერთი მამაკაცის უნაგირისა, დაფასებულის 800 მან. და 3, ერთი სპილენძის კარდლისა, რკინის კარბით, დაფასებულის 560 მან., სულ სამი ათას ცხრაას სამოცი მანეთად (3960 მ.), რომელიც გამოიღო დაიწყო ვაჭრობა. აწერილია მეფარის ნიკოლოზ გიორგის ძე კალანდაძის დასაკმაყოფილებლად, აღსასრულებელი ფურცლის ძალით ჩოხატაურის II უბნის მმართველი მოსამართლისა 3 ენენისთვიდან 1920 წ. № 886. ვაჭრობა მოხდება სოფელ ხევში, ხევის თემისა, ოზურგეთის მაზრის ეზოში მოპასუხე პლატონ მეფარიშვილისა. 3075 1-1

დაიკარგა ქუთაისის წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების ატესტატი, და მეტრიკული ამონაწერი მარიამ ნიკოლოზის ასული სობენეცკის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3040 3-1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფროსის ნოტარიუსისგან 1917 წ. რეესტრით № 77 აფანას გრინიოვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3042 3-1

დაიკარგა-პასპორტი № 10 მირზა პარახანას სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3046 3-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 692, მოწმობა ტფილისის მაზრაში ტოპოგრაფიული მუშაობის წარმოების შესახებ № 454 და იარაღის ტარების ნებართვა № 475 გიუგო ლეგერენის სახელზე, მიღებული საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ტოპოგრაფიული განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3037 3-1

ტფილისის სალარაჯო ათასეული ამით აცხადებს, რომ შაბათს 9 ოქტომბერს 1920 წ. ათასეულის ბინაზე (ანტონოვის ქუჩა—ყაზარმები) შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა 3052 ორ დაწუნებულ ცხენის გასასყიდოთ. 1-1

საქართველოს სასაზღვრო რეინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ქვემო აღნიშნული გაუტანელი ტვირთი და უსაბუთო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება: ცენტრალ საწყობში ამა წლის 29 ოქტომბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელმოკრედ ვაჭრობა მოხდება ოქტომბრის 30 1920 წ. ბათუმიდან—სანაინში № 35387 რიგ. № 272—1 ფ., სადახლოდან—სანაინში № 15709 რიგ. № 277—3 ფ., ტფილისიდან—ბორჯომში № 110892, რიგ. № 276 გამხმარი სიღებვი 1 ფ. 30 გ., ბათუმიდან—ნატანებში № 35038 რიგ. № 263 ცარიელი ყუთები 4 ფ., ბათუმიდან—ნიგოთში № 35512 რიგ. № 271 ცარიელი ყუთები 1 ფ., ქობულეთიდან—ნატანებში № 24110 რიგ. № 264 ცარიელი ყუთები 1 ფ. 25 გ. სალოლოდან—ტფილისში № 3220 ცარიელი ყუთები 20 გ., სანაინიდან—ტფილისში № 13330 რიგ. № 281 გვირგვინი რკინის 15 გ.; სურამიდან—ტფილისში № 20157 რიგ. № 283 ავენი 15 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 1470 რიგ. № 284 ცარიელი კალათი 10 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 14228 რიგ. № 286 ცარიელი ყუთი 1 ფ. 5 გ.; ახალ-სენაკიდან—ტფილისში № 7319 რიგ. № 287 ფიცარი 25 გ.; კალაგერანიდან—ტფილისში № 76 რიგ. № 288; კალათი 1 ფ. 15 გ.; ყარაიხიდან—ტფილისში № 10673 რიგ. № 289 ცარიელი კალათი 27 გ. 1 ფოთიდან—ტფილისში № 87243 საოჯახო ნივთები 25 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 5721 რიგ. № 291 ყუთი 1 ფ. 20 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4718 რიგ. № 292 ლოკინი; ფ. 20 გ.; ალექსანდროპოლიდან—ტფილისში № 1571 რიგ. № 293 საოჯახო ნივთები-ქსანკიდან—ტფილისში № 16871 რიგ. № 294 ცარიელი ბიტონი 2 ფ.; მუხიანიდან—ტფილისში № 12302 რიგ. № 295 კაროტი 1 ფ. 13 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4757 რიგ. № 296 საოჯახო ნივთები 7 ფ. 10 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 36727 რიგ. № 287 საოჯახო ნივთები 3 ფ. 9 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4755 რიგ. № 298 საოჯახო ნივთები 4 ფ. 15 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4759 რიგ. № 299 საოჯახო ნივთები 5 ფ. 16 გ.; ერევნიდან—ტფილისში № 4758 რიგ. № 300 საოჯახო ნივთი 5 ფ. 17 გ.; ბორჯომიდან—ტფილისში № 14679 რიგ. 301 კასრი ცარიელი 5 ფ. 15 გ.

უ ს ა ბ უ თ ო ნ ი. ნავთულიდან—ტფილისში № 2254 რიგ. № 272 ცარიელი ყუთები 3 ფ. 7 გ.; ბათუმიდან—ტფილისში № 71251 რიგ. № 251 სხვა და სხვა საკონელი 601 ფ.; სამტრედილიდან—ტფილისში № 5406 რიგ. № 246 რკინეულბო 1 ფ. 25 გ.; ოქმი სად. ტფილისის № 2281 რიგ. № 250 ცარიელი ტომბები 1 ფ. 15 გ.; ხაშურიდან—ტფილისში № 33353 რიგ. № 262 ცარიელი კალათი 1 ფ. 25 გ.; სანაინიდან—ტფილისში № 11180 რიგ. № 279 ნორი 15 გ.